ხელშეკრულება 35nazko/003
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით N 416579

12-01-2011

თბილისი

"23" 12 2010 წ.

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული), გენერალური დირექტორის მოადგილის ***ირაკლი გამყრელიძის*** სახით, ერთის მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული), დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ***ბესიკ ბაჩიაშვილის*** სახით, მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი
(ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი)

1.1 „შემსყიდველი" ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით „მიმწოდებელს" ავალებს შესაბამისი გამოკვლევის აქტების საფუძველზე განახორციელოს „შემსყიდველის" ხელშეკრულების დანართი 1-ით გათვალისწინებული ობიექტების დაცვითი მომსახურება (შემდგომში „ობიექტად" წოდებული);

მუხლი 2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 10, მე-3 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტი).
2.2 „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონი.

მუხლი 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 268800.00 (ორასსამოცდარვაათასრვაასი) ლარს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ვადები

5.1 "მიმწოდებელი" შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს დანართი 1-ის შესაბამისად.
5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2011 წლის 01 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული შესრულების შემდგომ ან და გარკვეული ეტაპის დამთავრების შემდგომ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
6.2 შესყიდვის ობიექტის მიღების დროს გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
6.3 „შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.
6.4 „შემსყიდველს" შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის შედეგები იყო

მუხლი 7. ანგარიშსწორების პირობები, ფორმა და ვადები

7.1 ანგარიშსწორების ფორმაა – უნაღდო ანგარიშსწორება.
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, ხელშეკრულებას თანდართული დანართი 1-ის შესაბამისად.
7.4 შესყიდვის ობიექტის ფაქტიურად მიწოდების შესახებ საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული დანაყოფები.

მუხლი 8. "მიმწოდებლის" თანამშრომელთა საშტატო განრიგი და დაცვის რეჟიმი

8.1 ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული „ობიექტის" დაცვას განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული შესაბამისი დანაყოფების, საშტატო ერთეულებისა და დაცვის რეჟიმით.

მუხლი 9. მხარეთა ვალდებულებები

9.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.1.1 არ გაამჟღავნოს „შემსყიდველის" სამსახურებრივი საიდუმლოება;

9.1.2 „ობიექტის" სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს დაცვა ცეცხლსასროლი იარაღით ან იარაღის გარეშე;

9.1.3 „პოლიციის შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

9.1.4 "მიმწოდებელი" ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს „მიმწოდებლის" მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

9.1.5 ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება, მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს „შემსყიდველის" საბუღალტრო დოკუმენტაციას;

9.1.6 „შემსყიდველისათვის" ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას „მიმწოდებელი" მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

9.2 "მიმწოდებელი" პასუხისმგებლობას არ კისრულობს თუ:

9.2.1 „შემსყიდველმა" არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნები;

9.2.2 თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვებული იქნა დასაცავ „ობიექტში";

9.2.3 მატერიალურ ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია „შემსყიდველის" მიერ „ობიექტის" „მიმწოდებლისათვის" ჩაუბარებლობის მიზეზით.

9.3 „შემსყიდველი" ვალდებულია:

9.3.1 განახორციელოს პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და "მიმწოდებელთან" ერთად იზრუნოს „ობიექტის" დაცვის სრულყოფისათვის;

9.3.2 „ობიექტის" მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, არ შევიდეს მასში დაცვის თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა;

9.3.3 "მიმწოდებელს" 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე" მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: („ობიექტის" დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ.);

9.3.4 დაცვის თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს "მიმწოდებელს";

9.3.5 „შემსყიდველს" ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოკვლევის აქტით;

9.3.6 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, „შემსყიდველი" ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ერთი თვით ადრე წერილობითი ფორმით აცნობოს "მიმწოდებელს."

9.4 "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუნქტის უცილობელი შესრულება;

9.4.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა;

9.4.3 არ სცნოს "მიმწოდებლის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

9.4.4 "შემსყიდველს" უფლება აქვს შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი და შესრულების ვადები და, თუ "მიმწოდებელი" არასათანადოდ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაუხადოს მეორე მხარეს პირგასამტეხლო 100.00 (ასი) ლარის ოდენობით, პირგასამტეხლოს გადახდის თაობაზე მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 14 საბანკო დღის განმავლობაში;

მუხლი 11. ფორს–მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან ფორს–მაჟორული შემთხვევის დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულების პირობებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ამასთანავე ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა არ განიხილება.

12.2 სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

12.3 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან შეწყდეს 2010 წელს გაფორმებული №1/5878 (№35narko/065) ხელშეკრულება;

12.4 ხელშეკრულება შედგენილია ოთხი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო ორი "მიმწოდებელთან."

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

13.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილები არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 15. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1 "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი განხორციელდება „შემსყიდველის" მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით.

15.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი"
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" ს/კ № 211324351
ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9
ს.ს. „თი ბი სი" ბანკი ვაჟა-ფშაველას სც №1
კოდი: №220101819 ა/ა №3743080100002

გენერალური დირექტორის მოადგილე:

ი. გამყრელიძე

"____" _____ 2010 წ.

"მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი"
შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, ს/კ 211350928
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–11 კმ
სს „ლიბერთი ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
კოდი: LBRTGE22 ა/ა GE20LB0121158008584006

დაცვის ორგანიზაციის მთავარი
სამმართველოს უფროსი

ბ. ბაჩიაშვილი

დანართი 1

თან ერთვის №_____ ხელშეკრულებას

დაცვის ქვეშ მყოფი სსიპ „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს „ობიექტების“ ჩამონათვალი

„--------“ „----------“ 2010 წ.

№	ობიექტის დასახელება	მისამართი	დანაყოფი	დაცვის რეჟიმი	საშტატო ერთეულების რაოდენობა			თვიურად გადასარიცხი თანხა დღგ-ს ჩათვლით			დაცვის მომსახურების ღირებულება ერთ თვეში დ.დ.გ.-ს ჩათვლით (ლარი)	ხელშეკრულების საერთო ღირებულება	სატრანზიტო ანგარიშები
					დაცვის უფროსი	ინსპექტორი	უმცროსი ინსპექტორი	დაცვის უფროსი	ინსპექტორი	უმცროსი ინსპექტორი			
1	ოფისი	ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №21ა	ქ. თბილისის I სამმართველოს I განყოფილება	24 საათის განმავლობაში	1		6	2000		700	6200	74400	სს „ლიბერთი ბანკი", ც/ფილიალი, კოდი LBRTGE22, ა/ა GE20LB0121158008584006
2	ფილიალი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №83/11	ქ. თბილისის I სამმართველოს I განყოფილება	ყოველდღიურად 10:00 საათიდან 18:00 საათამდე		2	2		900	700	3200	38400	სს „ლიბერთი ბანკი", ც/ფილიალი, კოდი LBRTGE22, ა/ა GE20LB0121158008584006
3	ფილიალი	ქ. თბილისი, სს „ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“-ს ტერიტორია, აეროპორტის მრავალპროფილიანი პოლიკლინიკა	ქ. თბილისის I სამმართველოს I განყოფილება	ყოველდღიურად 10:00 საათიდან 18:00 საათამდე		2	2		900	700	3200	38400	სს „ლიბერთი ბანკი", ც/ფილიალი, კოდი: LBRTGE22, ა/ა GE20LB0121158008584006
4	ფილიალი	ქ. თბილისი, ნაქალაქევის ქ. №3	ქ. თბილისის I სამმართველოს I განყოფილება	24 საათის განმავლობაში		3	3		900	700	4800	57600	სს „ლიბერთი ბანკი", ც/ფილიალი, კოდი: LBRTGE22, ა/ა GE20LB0121158008584006
5	ფილიალი	ქ. ზუგდიდი, ი. სტალინის ქ. №5	სამეგრელო-ზემო სვანეთის რდპ სამმართველოს -------	ყოველდღიურად 10:00 საათიდან 17:00 საათამდე			2			500	1000	12000	სს „ლიბერთი ბანკი", ც/ფილიალი, კოდი LBRTGE22, ა/ა GE30LB0121158008584020

6	ფილიალი	ქ. ფოთი, ვაჟა-ფშაველას ქ. №6	სამეგრელო – ზემო სვანეთის რდპ სამმართველოს ქ. ფოთის დპ სამსახური	ყოველდღიურად 10:00 საათიდან 17:00 საათამდე			2			500	1000	12000	სს „ლიბერთი ბანკი", ც/ფილიალი, კოდი: LBRTGE22, ა/ა GE30LB0121158008584020
7	ფილიალი	ქ. ოზურგეთი, ჟრენტის ქ. №4	სამეგრელო – ზემო სვანეთის რდპ სამმართველოს, ოზურგეთის დპ განყოფილება	ყოველდღიურად 10:00 საათიდან 17:00 საათამდე			2			500	1000	12000	სს „ლიბერთი ბანკი", ც/ფილიალი, კოდი LBRTGE22, ა/ა GE30LB0121158008584020
8	ფილიალი	ქ. თელავი, ალადფაშვილის ქ. №2	კახეთის რდპ სამმართველოს ქ. თელავის დპ განყოფილება	ყოველდღიურად 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, შაბათ - კვირას 10:00 საათიდან 15:00 საათამდე			2			500	1000	12000	სს „ლიბერთი ბანკი", ც/ფილიალი, კოდი: LBRTGE22, ა/ა GE57LB0121158008584019
9	ფილიალი	ქ. ქუთაისი, ნ. ბარათაშვილის ქ. №101	იმერეთი – გურიის რდპ სამმართველოს ქ. ქუთაისის დპ სამსახური	ყოველდღიურად 10:00 საათიდან 16:00 საათამდე,			2			500	1000	12000	სს „ლიბერთი ბანკი", ც/ფილიალი, კოდი: LBRTGE22, ა/ა GE47LB0121158008584005
სულ					1	7	23				22 400	268 800	

დაცვის ორგანიზაციის მთავარი
სამმართველოს უფროსი

ბ. ბარნაშვილი

გენ. დირექტორის მოადგილე

ი. გამყრელიძე